

მიხეილ ქვლივიძე

მიხეილ ქვლივიძე - ქართველი პოეტი, ლიტერატორი და მთარგმნელი, დაიბადა 1925 წლის 22 ივლისს. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1945 წელს, პირველი პოეტური კრებული გამოსცა 1952 წელს. 1954 წლიდან 1982 წლამდე ცხოვრობდა მოსკოვში, თუმცა თბილისთან კავშირი არ გაუწყვეტია და მშობლიურ ქალაქს არაერთი შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა.

პოეტი ბავშვობიდან ფლობდა რუსულ ენას, თუმცა ამ ენაზე არასოდეს დაუწერია. მისი ძირითადი წიგნებია: პოეტური კრებულები (1956, 1957, 1970, 1978 1981 წლები), ლექსების კრებული „დაბრუნება“ (1966 წ.), შენთან ყოფნიდან უშენობამდე (1978 წ.), მონოგრაფია „ვეფხისტყაოსნის დასურათებანი“ (1967 წ.), პოეზიის ერთტომეული (1994 წ.), „ჩურჩულით და ხმამაღლა“ 1995 წ. და სხვ. ქვლივიძის შემოქმედება მხოლოდ პოეზიით არ შემოიფარგლებოდა, წერდა კრიტიკულ წერილებს, საბავშვო წიგნებს, ეწეოდა აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას. თარგმნილი აქვს თანამედროვე იტალიელი პოეტების ლექსები, რუმინული და უნგრული პოეზია, ასევე ე. შვარცის, კ. კოროსტილოვის, ე. როსტანის, ი. კატონას, ლოპე დე ვეგას პიესები, რომლებიც წარმატებით იდგმებოდა საქართველოს თეატრებში.

1962-1966 წლებში მ. ქვლივიძე, ერთადერთი ქართველი პოეტი, ევროპის მწერალთა კავშირის წევრი გახდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სახელმწიფო მთარგმნელობით კოლეგიას ხელმძღვანელობდა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს აცნობდა ქართულ კულტურას. მიღებული აქვს თბილისის საპატიო მოქალაქის და პოლონეთისა და უნგრეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწის წოდება, ი. მაჩაბელის და გ. ტაბიძის სახელობის პრემიები, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

გარდაიცვალა 2005 წლის 25 ივლისს. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

მიხეილ ქვლივიძის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

სარეგისტრაციო ბარათები

1. მიხეილ ქვლივიძის სარეგისტრაციო ბარათი ლიტერატურულ თარგმანებთან დაკავშირებით (ბაქრადის, ა. კერესელიძისა და მ. ფარცხალაძის სიმღერების ტექსტები). 1953 წ. 3 ივნისი. ხელნაწერი. ხელს აწერს – მ. ქვლივიძე. რუსულ ენაზე. 2 გვ.

2. მიხეილ ქვლივიძის სარეგისტრაციო ბარათი ლიტერატურულ თარგმანებთან დაკავშირებით (ბაქრადის, გ. ცაბაძის, ა. კერესელიძისა და მ. ფარცხალაძის სიმღერების ტექსტები). 1963 წ. 29 ივლისი. ბლანკი. ხელს აწერს – მ. ქვლივიძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.

ცნობები

3. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა მიხეილ ქვლივიძისადმი, მის მიერ თარგმნილი ე. შვარცის პიესა „ჩრდილის“, 1969 წლის 1 ნოემბერს, შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში დადგმასთან დაკავშირებით. 1970 წ. 9 თებერვალი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ხელმოწერილი. ბეჭედდასმული. წითელი მელანი. 1 გვ.

4. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიის მიერ გაცემული ცნობა, მიხეილ ქვლივიძისა და პეტრე გრუზინსკის მიერ თარგმნილი ვ. ვასერმანის და დ. დერიონის პიესა „ლამანჩელის“ პრემიერის, 1970 წლის 18 ოქტომბერს, რუსთავის სახელმწიფო თეატრში დადგმასთან დაკავშირებით. 1970 წ. 7 დეკემბერი. ბეჭედდასმული. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ხელს აწერს – სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიის რედაქტორი ე. გალუსტოვა. ლურჯი და შავი კალამი. 1 გვ.

5. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიის მიერ გაცემული ცნობა, მიხეილ ქვლივიძისა და გივი შაჰნაზარის მიერ თარგმნილი ი. კატონას პიესა „ბანკ-ბანის“ პრემიერის, 1971 წლის 19 აპრილს, რუსთავის სახელმწიფო თეატრში დადგმასთან დაკავშირებით. 1971 წ. 19 მაისი. ბეჭედდასმული. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს – სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიის წევრი ე. გალუსტოვა. 1 გვ.

6. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიის მიერ გაცემული ცნობა, მიხეილ ქვლივიძის მიერ ნათარგმნი ორხან ასენას პიესა „შიშის“, 1973 წლის 6 ოქტომბერს, რუსთავის სახელმწიფო თეატრში დადგმასთან დაკავშირებით.
1973 წ. 8 ოქტომბერი. ბეჭედდასმული. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს – სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიის რედაქტორი ე. გალუსტოვა. 1 გვ.

7. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა, მიხეილ ქვლივიძის მიერ ნათარგმნი ვ. კოროსტილოვის პიესის - „ფიროსმანი, ფიროსმანი.....(მარტოობის დღესასწაული)“, 1974 წლის 26 ნოემბერს, რუსთავის სახელმწიფო თეატრში დადგმასთან დაკავშირებით.
1974 წ. 2 დეკემბერი. ბეჭედდასმული. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს – შალუტაშვილი. 1 გვ.

8. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს თეატრებისა და მუსიკალურ დაწესებულებათა სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა, მიხეილ ქვლივიძის მიერ ნათარგმნი ე. როსტანის პიესა „სირანო დე-ბერჟერაკის“, 1967 წლის 30 ნოემბერს, რუსთავის სახელმწიფო თეატრში დადგმასთან დაკავშირებით.
უთარილო. ბეჭედდასმული. ხელნაწერი. ნაბეჭდი. შავი კალამი. ხელს აწერს – სამმართველოს ინსპექტორი მ. გოგოლაშვილი. 1 გვ.

9. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიის მიერ გაცემული ცნობა, მიხეილ ქვლივიძისა და ლია ღლონტის მიერ თარგმნილი ლ. მაროტის პიესა „ჯორდანო ბრუნოს“ პრემიერის, 1979 წლის 21 მაისს, კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გამართვასთან დაკავშირებით.
უთარილო. ბეჭედდასმული. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს – სარეპერტუარო - სარედაქციო კოლეგიის წევრი. ე. გალუსტოვა. 1 გვ.

10. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს თეატრებისა და მუსიკალურ დაწესებულებათა სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა, მიხეილ ქვლივიძის მიერ ნათარგმნი ვ. კოროსტილოვის პიესის „ასი წლის შემდეგ“, 1967 წლის 14 დეკემბერს, რუსთავის სახელმწიფო თეატრში დადგმასთან დაკავშირებით.
უთარილო. ბეჭედდასმული. ხელნაწერი. ნაბეჭდი. შავი მელანი. ხელს აწერს – სამმართველოს ინსპექტორი – მ. გოგოლაშვილი. 1 გვ.

განცხადებები

11. მიხეილ ქვლივიძის განცხადება საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოსადმი, მისი თარგმანებისთვის (ბაქრადის, მ. ფარცხალაძის, ა. კერესელიძის სიმღერების ტექსტები) საავტორო უფლებების მინიჭებასთან დაკავშირებით.

1959 წ. 11 ნოემბერი. ხელნაწერი. ხელს აწერს მ. ქვლივიძე. დადებითი რეზოლუციით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

12. მ. ქვლივიძის განცხადება საავტორო უფლებების დაცვის სამმართველოსადმი, მოსკოვში მისი ნაწარმოებებისთვის საავტორო უფლებების მინიჭებასთან დაკავშირებით.

1959 წ. 11 ნოემბერი. ხელნაწერი. ხელს აწერს – მ. ქვლივიძე. დადებითი რეზოლუციით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

13. საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოს დირექტორის მოადგილე ბექურაშვილის განცხადება საავტორო უფლებათა საკავშირო დაცვის სამმართველოს უფროს ვ.

ნემეშაევისადმი, მიხეილ ქვლივიძის სარეგისტრაციო ბარათთან დაკავშირებით.

1959 წ. 17 ნოემბერი. თბილისი. შტამპი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

14. მიხეილ ქვლივიძის განცხადება საავტორო უფლებათა საკავშირო დაცვის

სამმართველოსადმი, მისი თარგმანებისთვის (ბაქრადის, გ. ცაბაძის, მ. ფარცხალაძის, ა.

კერესელიძის სიმღერების ტექსტები) საავტორო უფლებების მინიჭებასთან დაკავშირებით.

1963 წ. 19 ივნისი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს მ. ქვლივიძე. დადებითი რეზოლუციით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

15. მიხეილ ქვლივიძის განცხადება საავტორო უფლებათა საკავშირო დაცვის

სამმართველოსადმი, კომპოზიტორ მ. ფარცხალაძის სიმღერის „სამაია“ ტექსტის

თარგმანისთვის საავტორო უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით.

1963 წ. 29 სექტემბერი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს მ. ქვლივიძე. დადებითი რეზოლუციით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

16. მიხეილ ქვლივიძის განცხადება საავტორო უფლებათა საკავშირო დაცვის

სამმართველოსადმი, ე. როსტინის პიესა „სირანო დე-ბერჟერაკის“ თარგმანისთვის საავტორო უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით.

1967 წ. 3 დეკემბერი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს მ. ქვლივიძე. დადებითი რეზოლუციით. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

17. მიხეილ ქვლივიძის განცხადება საავტორო უფლებათა საკავშირო დაცვის სამმართველოსადმი, ვ. კოროსტილოვის პიესის „ასი წლის შემდეგ“ თარგმანისათვის საავტორო უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით.

1967 წ. 15 დეკემბერი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს მ. ქვლივიძე. დადებითი რეზოლუციით. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

18. მიხეილ ქვლივიძის განცხადება საავტორო უფლებათა საკავშირო დაცვის სამმართველოსადმი, ვ. ვასერმანისა და დ. დერიონის პიესა „ლამანჩელის“ მისი და პეტრე გრუზინსკის ერთობლივი თარგმანისთვის საავტორო უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით.

1970 წ. 11 დეკემბერი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს მ. ქვლივიძე. დადებითი რეზოლუციით. ლურჯი და შავი კალამი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

19. მიხეილ ქვლივიძის განცხადება საავტორო უფლებათა საკავშირო დაცვის სამმართველოსადმი, ი. კატონას პიესა „ბანკ-ბანის“ მისი და გივი შაჰნაზარისა ერთობლივი თარგმანისათვის საავტორო უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით.

1971 წ. 20 აპრილი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს მ. ქვლივიძე. დადებითი რეზოლუციით. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

20. მიხეილ ქვლივიძის განცხადება საავტორო უფლებათა საკავშირო დაცვის სამმართველოსადმი, ე. შვარცის პიესა „ჩრდილის“ თარგმანისთვის საავტორო უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით.

1972 წ. 9 თებერვალი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს მ. ქვლივიძე. დადებითი რეზოლუციით. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

21. მიხეილ ქვლივიძის განცხადება საავტორო უფლებათა საკავშირო დაცვის სამმართველოსადმი, ვ. ვასერმანისა და დ. დერიონის პიესა „ლამანჩელის“ მისი და პეტრე გრუზინსკისა ერთობლივი თარგმანისთვის საავტორო უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით.

1972 წ. 30 მაისი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს მ. ქვლივიძე. დადებითი რეზოლუციით. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

22. მიხეილ ქვლივიძის განცხადება საავტორო უფლებათა საკავშირო დაცვის სამმართველოსადმი, ორხან ასენას პიესა „შიშის“ თარგმანისთვის საავტორო უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით.

1973 წ. 10 სექტემბერი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს მ. ქვლივიძე. დადებითი რეზოლუციით. 1 გვ.

23. მიხეილ ქვლივიძის განცხადება საავტორო უფლებათა საკავშირო დაცვის სამმართველოსადმი, ვ. კოროსტილოვის პიესის „მარტოობის დღესასწაული (ფისორმანი, ფისოსმანი, ფიროსმანი)“ თარგმანისთვის საავტორო უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით. 1974 წ. 27 მაისი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს მ. ქვლივიძე. დადებითი რეზოლუციით. 1 გვ.

24. მიხეილ ქვლივიძის განცხადება საავტორო უფლებათა საკავშირო დაცვის სამმართველოსადმი, ლ. მაროტის პიესა „ჯორდანო ბრუნოს“ მისი და ლია ღლონტისა ერთობლივი თარგმანისთვის საავტორო უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით. 1979 წ. 21 ივნისი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს მ. ქვლივიძე. დადებითი რეზოლუციით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

ეპისტოლარული მემკვიდრეობა წერილები, ღია ბარათები

25. მიხეილ ქვლივიძის წერილი ირინესადმი, ლექსის „გურამიშვილის მონოლოგი“ რედაქტირებასა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორ გურამ ფანჯიკიძისთვის გაგზავნასთან დაკავშირებით. 1972 წ. 15 მაისი. ავტოგრაფი. 2 გვ.

26. მიხეილ ქვლივიძის პირადი ხასიათის წერილი ირინესადმი. 1972 წ. 2 ივნისი. ავტოგრაფი. 1 გვ.

27. მიხეილ ქვლივიძის პირადი ხასიათის წერილი ირინესადმი. 1972 წ. 8 ივნისი. ავტოგრაფი. 2 გვ.

28. მიხეილ ქვლივიძის პირადი ხასიათის წერილი ირინესადმი. 1972 წ. 17 ივნისი. ავტოგრაფი. 4 გვ.

29. მიხეილ ქვლივიძის ღია ბარათი ირინესადმი პირად საკითხებთან დაკავშირებით. 1972 წ. 23 ოქტომბერი. მოსკოვი. ავტოგრაფი. 1 ც.

30. მიხეილ ქვლივიძის წერილი ირინესადმი, პირად საკითხებსა და ლექსების კრებულის „პოლონელი პოეტების ლექსები“ სტამბაში დასაბეჭდად გადაგზავნასთან დაკავშირებით. 1973 წ. 10 იანვარი. ავტოგრაფი. წითელი მელანი. 2 გვ.

31. მიხეილ ქვლივიძის წერილი ირინესადმი, მის მიერ თარგმნილ კრებულთან - „პოლონელი პოეტების ლექსები“ და ჟურნალებში - „დღომა“, „მნათობი“ და „ცისკარი“ ლექსების დაბეჭდვასთან დაკავშირებით.

1973 წ. 18 ივლისი. ავტოგრაფი. 1 გვ.

32. მიხეილ ქვლივიძის ღია ბარათი ირინესადმი პირად საკითხებთან დაკავშირებით.

1987 წ. ავტოგრაფი. 1 ც.

33. მიხეილ ქვლივიძის წერილი ირინესადმი პირად საკითხებსა და რუსთავის თეატრისთვის ლოპე დე ვეგას პიესა „ცხვრის წყაროს“ თარგმნასთან დაკავშირებით.

უთარილო. ავტოგრაფი. 2 გვ.

34. მიხეილ ქვლივიძის წერილი ირინესადმი პირად საკითხებსა და მის მიერ თარგმნილ ლოპე დე ვეგას პიესა „ცხვრის წყაროსთან“ დაკავშირებით.

პირი: ვახტანგ ჯავახაძე, შოთა სულაბერიძე.

(წერილი ხელმოწერილია ფსევდონიმით - დ. გურამიშვილი).

უთარილო. ავტოგრაფი. წითელი კალამი. დაზიანებული. 2 გვ.

35. მიხეილ ქვლივიძის პირადი ხასიათის წერილი ირინესადმი.

უთარალო. ავტოგრაფი. 2 გვ.

36. მიხეილ ქვლივიძის წერილი ირინესადმი წიგნის – „Самоучитель грузинского языка“

მოსკოვში გაგზავნასთან დაკავშირებით.

უთარილო. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

37. მიხეილ ქვლივიძის წერილი ირინესადმი პირად საკითხებსა და მისი წიგნის სტამბაში დასაბეჭდად გადაგზავნასთან დაკავშირებით.

უთარილო. ავტოგრაფი. 2 გვ